წელიწადი მე-2 ტელეფონი №76. შაბათი, 26 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივ სტრ... პეტიტით ღირს 15 ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში

№ 494 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 494

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილები გიორგი, ალექსანდრე, ოლღა. ანნა და ნინა პავლეს ძენი და ასულნი, რძლები ელისაბედ და ალექსანდრა ივანეს ასულნი ნიკიტინისანი სიძე პოლიკარპე ალექსის ძე ახვლედიანი, შვილი შვილები ბარბალე, ალექსანდრა, თამარა, ნინა და ელენა გიორგის ასულნი, სერგო, ქსენია, ელენა, ალექსანდრეს ძე და ასულნი ნიკიტინები და კონსტანტინე პოლიკარპეს ძე ახვლედიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ პირველნი დაუვიწყარი დედის, მეორენი ძვირფასი დედამთილისა მესამე ძვირფასი სიდედრისა მეოთხენი და მეხუთენი საყვარელი ბებიისა.

## თეკლე დიმიტრის ასულის ნიკიტინის

გარდაცვალებას, რაიცა მოხდა ხუთშაბათს, 24 ნოემბერს. განსვენება მოხდება კვირას, 27 ნოემბერს, დილის 9 საათზე, საკუთარი სახლიდან (ინჟინერის ქ). ლაზარეთის ეკლესიაზე, საიდანაც წირვის შემდეგ გაასვენებენ დასაკრძალავათ ოლასკურის სასაფლაოზე. პანაშვიდები იქნება ყოველდღე საღამოს 5 საათზე.

## ომში დაუძლურებულთა სასარგებლოდ.

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 22.

შაბათი, 26 ნოემბერი 1916 წ.

## მორევში

დრ. 3 მოქმ. ჭანტურიშვილისა

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებელი **გრ. გველესიანი** იტყვის შესავალ სიტყვას ომის მნიშვნელობის და ომში დაუძლურებულთა დახმარების შესახებ.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ბ-ნი გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი მომატებულია მორიგი წევრი გამგეობისა ბ. უზნაძე

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება**

მთელი შემოსავალი ყველა ხარჯების გამორიცხვით გადაეცემა ქუთაისის გუბერნატორს წმ. გიორგის კავალერების და მათი ოჯახების დამხმარე ფონდში გადასაგზავნათ.

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 23.

კვირა, 27 ნოემბერი 1916 წ.

ბარრი:

## ნაპოლეონ და ჟოზეფინა

4 მოქმ. თარგმ. ა. იმედაშვილისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ., ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გ.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**წარმოდგენის დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 24 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

## ჯავშნიანი მატარებელი

სამხედრო, ნამდვილიდან

1 სერია

მშობლიურ ვოლგას დაყოლებით

(წუთიერ ნეტარებისათვის)

დრამა 4 ნაწ. კანოვისა, ნიკოლსკისა, რიმსკისა და ჩაროვის მონაწ.

**უხეირო მდგომარეობა** სახუმარო

**ანონსი:** ორშაბათიდან, 28 ნოემბრიდან ფრიად საინტერესო პროგრამა.

**გულთან ხუმრობით, გული გაგმირა**

ძლიერი დრამა 5 ნაწილად, კარამზინოვისა და პანოვის მონაწილეობით.

**იმის თავგადასავალი** ძლიერ სახუმარო.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან 25 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

## ჯავშნიანი მატარებელი

სამხედრო, ნამდვილიდან

## ცოდვის გამოსყიდვა

კინო დრამა 4 ნაწილად გორიჩევის მონაწ.

**კოროტიშკინი—მაძებარი პოლიციელი**

სახუმარო.

**ანონსი:** ორშაბათიდან 28 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

**ძლიერის სიმუხთლე**

მხატვრული დრამა 4 ნაწილად. ესპერიისა და კარლო ბენეტის მონაწილეობით.

**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები

**იშვიათი გულადი** სახუმარო.

ქ. თფილისში დაარსდა

## მელნის ქარხანა „ალაროდია“

**ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,**

**ალიზარინის ფერისას**

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ ორ გირვანქიან ბოთლებით. **ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.**

მელანი ასლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

**დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება** ადგილობრივ თუ გაგზავნით.

**მისამართი:** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

### მსოფლიო ომი.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.

უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან.

24 ნოემბერი.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი: კომოშლანის სამხრეთ აღმოსავლეთით სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. კონიუხის მიდამოებში, ჩვენმა მზვერავებმა იერიში მიიტანეს მოპირდაპირის დარაჯებზე და ტყვეები წამოიყვანეს; მდ. ბისტრიცაზე, სოფ. სტარი ლისეცის მიდამოებში ჩვენი მზვერავები მარჯვეთ მოქმედებენ. ტყიან კარპატებში ჩვენმა ჯარმა აიღო იაბლონიცის სამხრეთ-დასავლეთით 3 ვერსზე მდებარე მაღლობი, მაგრამ მტერმა ზარბაზნების საშინელი სროლა აგვიტეხა და იძულებული გვყო ეს მაღლობი ისევ დაგვეტოვებინა.

**კავკასიის ასპარეზზე**

არსებითი რამ ცვლილება არ მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.**

ტრანსილვანიის საზღვრებზე მდ. ტროტუშის, სელცის, ჩებინიაშის, უსის და დოფტიანის ველებში ბრძოლა გრძელდება. ვალახეთში მოპირდაპირის იერიშები გრძელდება აქ მოპირდაპირემ გაიმარჯვა ტორგოვისტა-პლოეშტსა და გოკანეშტის რკინის გზის მიდამოებში ტიტუ-ბუქარესტის გზაზე, სადაც გაარღვიეს რუმინელების ჯარი, რუმინელები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. დანარჩენ ბრძოლის ხაზებზე მოპირდაპირეს იგერიებენ.

**ბუქარესტი** 22 ნოემბერს დილის 7 საათის ცნობა. მოლდავიის დასავლეთ საზღვრებზე მტერმა სხვა და სხვა ადგილას შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ. მუნტენის ჩრდილოეთ მიჯნებთან არსებითი არაფერი მომხდარა. დასავლეთის ასპარეზზე ჩვენი ჯარი ტორგოვიშტის აღმოსავლეთით იდ. დამროვიცაზეა დაბანაკებული, ტიტუს აღმოსავლეთით და ბუქარესტის დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით მდ. დუნაის კიდეებამდე. დობრუჯის ასპარეზზე თოფებისა და ზარბაზნების სროლაა.

**პარიზი** გერმანელების ორი საფრენი ჩამოაგდო პოდპ. ნენჟესერმა, ერთი ორლოს დასავლეთით, მეორე სალიულიარის ტყესთან, ლეშელის დასავლეთით.

24 ნოემბერს

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. მახლობელ აღმოსავლეთის ასპარეზი. მონასტირის ჩრდილოეთით მედგარი ბრძოლაა ზარბაზნებით.

**იასი.** მარგილომანის გაზეთ „სტოიაგულ“-ში მოთავსებულია წერილი „დავრჩეთ თავ-თავის ადგილას“, სადაც სხვათა შორის სწერია: ბუქარესტის გზით მიიმართება ქალებით, ბავშვებით და ბარგი-ბარხანით დატვირთული ურმების უდიდესი ქარავნები. მიერეკებიან შინაურს საქონელს. ცხადია, ძნელია მშვიდობიან მკვიდრთა დამშვიდება ზარბაზნების ქექა-ქუხილში, როდესაც ცას ცეცხლი ედება, მაგრამ საჭიროა მთავრობამ ზომები მიიღოს, მცხოვრებთა დასაცავად და გადასარჩენად. უნდა დაარწმუნონ მცხოვრებნი, რომ საჭიროა მშვიდად შეხვდნენ მომდხარ განსაცდელს და ყველა თავ-თავის ადგილზე დარჩეს. მოლდავია დობრუჯიდან გამოხიზნულ მცხოვრებთა და რუსის ჯარით არის სავსე. ამათ რომ კიდევ ახალი გომოქცეულები მიემატოს, უფრო გასაჭირში ჩავარდება ადგილობრივი მოსახლეობა; მოსალოდნელია შიმშილობა ჩამოვარდეს და გადამდები სნეულება გავრცელდეს. ბუქარესტის პოლიციის უფრო-


**ქუთაისში დროებით**

**ჩამოვიდა** თიხნარ ნიადაგის გამომკვლევი სპეციალისტი, აგრეთვე საგანგებოდ განსწავლული აგურისა და კრამიტის გამოწვა-გაკეთების საქმეში. ზედმიწევნით იცის აგრეთვე ყოველგვარ აგურხანების მოწყობის საქმეც **მისამართი:** ქუთაისი, სასტუმრო „ფრანცია“ № 10.

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. ყ.

**ექიმი ი. ჩარკვიანი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი, იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს **ჯგუფი** საოფიცრო მოწაფეებისა I და II **ხარისხ.** იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

**ექიმი მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაჯარიძისა.

**დოქტორი მედიცინისა**

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. 10—4 დღ. გამ.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს საოცარ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით.

**ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6—8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაგოლაძისა (წულეისკირისეული)

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჭილაძის შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

# მოწოდება.

ორ წელიწადზე მეტია, რაც დიდი რუსეთის ჭეშმარიტი შვილნი, —ერთგულნი წინაპართა დიდებული ანდერძისა,—დარაჯათ უდგანან თავიანთ სამშობლოს,— დიდ რუსეთს, და საკუთარი მკერდით იგერიებენ მტრის საშინელ იერიშებს, რათა დაცული იქნას მთლიანობა და კეთილდღეობა ბრწყინვალე რუსეთისა.

რუსეთის ყველა ერთგული შვილები თანაბარ მონაწილეობას ღებულობენ მტრის განადგურებაში, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს იმათ, რომლებმაც თავიანთი გმირული მოქმედებით წმ. გიორგის სამხედრო ჯილდო დაიმსახურეს.

განზრახულია გიორგის კავალერიის გასამხნევებლად და მათი ოჯახის დასახმარებლად საგანგებო ზეიმით იქნას აღნიშნული წმ. გიორგის დღეობა, 26 ნოემბერი მთელს იმპერიაში.

მოვუწოდებთ ყველა ჩვენს თანამოქალაქეთ წმ. გიორგის დღეობაზე ილოცონ ჩვენი სამშობლოს დამცველთა მლიერი კავალერიის მფარველის სახელზე, რათა გამარჯვებით დაგვირგვინდეს მათი გმირობა. მასთან მივმართავ ყველას გულითადის თხოვნით,—გაიღონ თავიანთი წვლილი გ. კავალერიის ფონდის გასამლიერებლად და მათის ოჯახის სასარგებლოდ,—თითოეული თქვენთაგანის ყურადღება ამ დღეს მვირფასი იქნება.

ამავე დღეს დანიშნული იქნება ყულაბებით ფულის მოგროვება ქუჩაში, თეატრსა და კინემატოგრაფებში,—საიმედო პირთა ზედამხედველობით. შეკრებილი ფული, რამოდენიმე სავალდებულო გასავალის გარდა გიორგის კომიტეტთა საბჭოში იქნება შეტანილი. მასთან კინემატოგრაფში გამართული იქნება რამდენიმე სეანსები უფასოდ.

გუბერნიის მმართველი, სახაზინო პალატის გამგე **სოზრიევსკი**

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** გალიციაში რამდენიმე ალაგას მზვერავები მარჯვედ მოქმედებენ. ტყიან კარპატებში იაბლონიცას სამხრეთ დასავლეთით რუსებმა ერთი სიმაღლე აიღეს, მაგრამ ავსტრიელებმა საშინელი საარტილერიო სროლის შემდეგ სიმაღლე უკან დაიბრუნეს და რუსებს უკან დაახევინეს.

**კავკასიის ასპარეზი** არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**დასავლეთის ასპარეზი.** საერთო მდგომარეობა არსად შეცვლილა. კანტი კუნტად ჰაერში ბრძოლა სწარმოებს; ფრანგებმა გერმანელთა 2 საფრენი ძირს ჩამოაგდეს.

**რუმინიის ასპარეზი.** მოლდავიის საზღვარზე დიდი ბრძოლები გრძელდება. ვალახიაში ბუქარესტის ჩრდილოეთით გენ. ფალკენჰაინის ჯარმა კიდევ გაიმარჯვა აქ გაარღვიეს რუმინეთის ჯარის ბრძოლის პირი და უკან დაახევინეს. სხვა მხარეებზე რუმინელები მოწინააღმდეგის იერიშებს იგერიებენ.

**მაკედონიის ასპარეზი.** მონასტირის ჩრდილოეთით მედგარი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

სი აცხადებს: ბუქარესტიდან გასვლა მხოლოდ განსაკუთრებულის ნებართვით შეიძლება ვისაც 2 წელიწადი მაინც სატუსაღოებში გაუტარებია, დაუყოვნებლივ პოლიციაში უნდა გამოცხადდეს. ვისაც მოასწრებენ ქურდობაზე, ძარცვა-გლეჯაზე თუ ცეცხლის გაჩენაზე, იქვე დაჰხვრეტენ.

**ლონდონი.** საღამოს ოფიც. ცნობა. გუშინ ჩვენი ჰიდრო ჰაეროპლანების რაზმი რაიდენჯერმე შეებრძოლა მტრის მფრინავებს. მოპირდაპირის 2 საფრენი გავანადგურეთ ჩვენ ერთი საფრენი დაგვაკლდა.

**რიგა.** რიგის ასპარეზზე საფრენების მოქმედება გახშირდა. ტუკუმის მიმართულებით ჩვენს ასპარეზზე გამოჩნდა გერმანელების საფრენი და ტყვისმფრქვეველით სროლა აგვიტეხა. ჩვენ ძლიერი სროლა აუტეხეთ და ალბად ძალიან დავაზიანეთ, რომ თავისიანების ფარგალს ველარ მიაღწია და ნეიტრალ ფარგალში დაეშვა.

**ლონდონი** ოფიც. ცნობა. მეორე და მეოთხე საზღვაო ადმირალად დაინიშნა სერ სესილ ბოსენი, რომელიც იუტლანდიის სანაპიროებთან ბრძოლის დროს 1 ესკადრას ჰსარდლობდა და კაპიტანი ხოლოეი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„ზ. ვედ". სწერს: თუ წინა წერილებში აღვნიშნეთ, ბრძოლა ბუქარესტთან მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზული ხდებაო, დღეს სიტყვაც კი ველარ გვიპოვნია ბუქარესტთან ატეხილ უდიდეს და მეტად მნიშვნელოვან ბრძოლის დასახასიათებლად. აქ მომხდარი ბრძოლა განსაცვიფრებელი იმით კი არ არის, რომ მრავალი ჯარი ერთმანეთს ეჯახება, ან და ბრძოლა ფართო მაშტაბით ჰხდება, განსაცვიფრებელი იმითია რომ შედეგი უთუოდ დიდი იქმნება. მოწინააღმდეგეს ბუქარესტზე დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთიდან მიაქვს იერიში. მხოლოდ აღმოსავლეთის კარია გახსნილი, ასეთს უკიდურესს მდგომარეობაშია დღეს ბუქარესტი და როგორ გადასწყდება მისი ბედი, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

— საბერძნეთის წყალქვეშა ნავები ეგეის ზღვაში გამოსულან.

— გადაუსხავთ თუ არა პირეიაში მოკავშირეებს საზღვაო რაზმი საბერძნეთის მთავრობას რეზერვისტებისთვის იარაღი დაურიგებია და პირეიაში გაუგზავნიათ.

— ნავთსადგურ პირეის ახლოს მოკავშირეთა რამდენიმე ჯარით სავსე გემი მხოლოდ ბრძანებას უცდის თურმე, რომ ხმელეთზე ჯარი გადასხას.

— მეფე კონსტანტინესათვის წინადადება მიუციათ გადასახლდეს კუნძულ კორფუზე და ან ეგიპტეში.

— ეგვიპტიდან სალონიკში მოდენილა ვენიზელოსის მომხრე მოხალისეებით სავსე გემი. გამოსულა თუ არა ის ალექსანდრიის ნავთსადგურიდან, შეხვედრია მას გერმანული წყალქვეშა ნაღმი უსვრია და ჩაუძირავს. დაღუპულთა და გადარჩენილთა შესახებ ჯერჯერობით ცნობები არ მიუღიათ.

— დამოუკიდებელ პოლონეთის ლეგიონები პირდაპირ გერმანიის მთავარ სარდლობის განკარგულებაში იქნებიან და გერმანიის დანარჩენ ჯარისაგან მხოლოდ ტანისამოსით ღა განირჩევიან.

— ჰამბურგში სოციალ დემოკრატმა შეიდემანმა წაიკითხა ლექცია, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ გერმანია ეუნექსიო ზავზე არ უნდა დასთანხმდეს და ბოლოს უთქვამს: „ჩვენ გვსურს ზავი მაგრამ მუხლ მოდრეკილნი კი არ შევთხოვოთ ჩვენ მოწინააღმდეგებსა, რომ როგორც ძაღლებს ისე არ მოგვეპყრონ" ო.

— ერთის მხრივ რუსეთისა და მეორეს მხრივ ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ შეთანხმება მომხდარა იმის შესახებ, თუ ვის უნდა გადაეცეს ქ. სტამბოლი სრუტეებით. ამ შეთანხმების ძალით ბოსფორი და დარდანელი რუსეთს უნდა გადაეცეს.

— „ლოიდის სააგენტოს" ცნობით გერმანულ წყალქვეშის ნაღმით დაუღუპავს ინგლისელთა საბარგო გემი „ვჰარუელი".

— გერმანელთა დიდი ზომის წყალქვეშას ინგლისელთა მცირე გემების ფლოტილიისათვის სროლა აუტეხია და 3 მათგანი დაუღუპავს.

— საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს მილოცვა გაუგზავნია იმ კორპუსისათვის, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია პირეიაში გადმოსხმულ ფრანგ ინგლისელთა რაზმს. მთელ საბერძნეთში სამხედრო წესები გამოაცხადეს. ახლო მომავალში მოკავშირეთა წინაამდეგ ომში ჩარევას მოელიან.

მოკავშირე სახელმწიფოებისადმი წინააღმდეგობის სურვილი საბერძნეთში ერთობ დიდია. ამას წინად მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში საბერძნეთის მთავრობას თებში და ლამოში 12 ზარბაზანი და დიდი ძალი ტყვია წამალი გაუგზავნიათ. მეფე კონსტანტინეს სამხედრო საწყობები დაუთვალიერებია.

— ათინის უნივერსიტეტში და პოლიტეხნიკუმში ლექციების კითხვა შეუწყვეტნიათ. შენობები საბერძნეთის საზღვაო ჯარს დაუჭერია.

— ათინაში რამდენიმე ასეული დაბრუნებულა ვენიზელოსის ჯარიდან და რეზერვისტებს მიჰკედლებია.

— საბერძნეთში დაარსებულა ახალი სამხედრო „ლიგა", რომელიც მოითხოვს დაუყონებლივ ომი გამოეცხადოს მოკავკავშირეებს.

— მეფე კონსტანტინეს ათინაში დიდი ძალი ჯარისათვის მოუყრია თავი. ამას მოკავშირეებს იმით უხსნის იგი, თითქმის ჯარის დანიშნულება მოსალოდნელ ამბოხების ჩაქრობა იყოს. ადმირალი ფურნიე ამას არ იჯერებს და პირეის ნავთსადგურის ახლო ძლიერ ფლოტსა და ჯარს აკავებს.

— ათინამ უცნაური სახე მიიღო. ქალაქში მცხოვრებნი ქუჩაში აღარ გამოდიან. ტრამვაისა და ეტლების მოძრაობა სრულიად შესწყდა.

— საბერძნეთის მთავრობას სათადადრიგო ჯარის ნაწილობრივ მობილიზაცია მოუხდენია. ამას იმითა ხსნიან, რომ რეზერვისტები, რაკი ჯარში იქნებიან უწესოებას აღარ ჩაიდენენო.

— საბერძნეთის გემი „მარგარიტა" გერმანულ წყალქვეშას დაუღუპავს.

— ბერძნული გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ მოკავშირეებთან ომი თანდათან აუცილები ხდებაო.

— საბერძნეთის ჯარს ათონის გარშემო მდებარე ბორცვები დაუპყრია. მათთვის მეფე კონსტანტინეს უბრძანებია თქვენი პოზიციები მოკავშირეთა ჯარს არ დაანებოთო.

— გერმანიის სამხედრო-საზღვაო ქარხნები დღედა ღამ მუშაობენ. ეხლა ამ ქარხნებში ამზადებენ უდიდეს ჯავშნიან წყალქვეშებს. გერმანელები აპირებენ გაზაფხულზე ამისთანა წყალქვეშების რამდენიმე ათეული ინგლისის სანაპირებისაკენ გაგზავნონ და წყალქვეშა გემებზე დიდი ზარბაზნები მოუწყვიათ. გერმანელები დარწმუნებულნი ყოფილან, რომ ამ გემების შემწეობით ინგლისის სანაპირო ქალაქებს და ციხეებს გაანადგურებენ.

— ნორვეგიის ორი დიდი ნავისათვის გერმანულ წყალქვეშას ცეცხლი წაუკიდებია.

— ლლოიდის ცნობით ინგლისის გემი „ლუცისტენი" გერმანულ წყალქვეშას დაუღუპავს.

— ნეიტრალ სახელმწიფოების პრესა არკვევს იმ საკითხს თუ რა საშუალებით მოუყარა თავი გერმანიამ მრავალ რიცხოვან ჯარს რუმინიის წინააღმდეგ. აღმოჩნდა, რომ გერმანელებს სხვა ასპარეზები ამისათვის არ შეუსუსტებიათ და რუმინიისაკენ თუ სხვა ასპარეზებიდან გადაუყვანიათ ჯარი, სამაგიეროდ იქ შიდა გერმანიიდან ახალი და მორჩენილ ჯარის კაცებიდან შემდგარი დივიზიები გაუგზავნიათ.

## სამხედრო მიმოხილვა

საერთო მდგომარეობა რუმინეთში ასეთია:

ცენტრალ კოალიციის ჯარი ქ. ბუქარესტთან იბრძვის. სამხრეთიდან და დასავლეთის მხრიდან ეს ჯარი ზედ არის მისული ციხეზე და მის აღმოსავლეთით ანვითარებს მოქმედებას. ჩრდილოეთით ფალკენ-ჰაინის ჯარი აქამდე 25-30 ვერსის სიშორეზე იდგა. გუშინდელი ცნობის მიხედვით აქედანაც დაძრულან გერმანელ-ავსტრიელები და სამხრეთ აღმოსავლეთით მიემართებიან.

დობრუჯაში რუსისა და რუმინეთის ჯარმა შეტევა შეაჩერა. მოლდავიის საზღვრებზე კი ერთობ ძლიერი ბრძოლები სწარმოებს.

ბუქარესტის მიდამოებში რუმინელთა ჯარის დარჩენაზე და მათი თავგამოდებით დაცვაზე ლაპარაკი მეტია. რუმინელები თუ ჯერ კიდევ ქონიანობენ, არ იხევენ შორს აღმოსავლეთისაკენ, ეს იმიტომ, რომ საშუალება მისცენ თავის ჯარს უკან დახევისა. რუმინიის ძლიერი რაზმი ბუქარესტის მიდამოებში საარიერგარდო ბრძოლებს აწარმოვებს ეს საარიერგარდო ბრძოლები ერთობ გაჭიანურდა და რუმინელები ჯერ არ უთმობენ თავის მოწინააღმდეგეს.

მაგრამ ხანგრძლივი ხასიათი ამ ბრძოლებისა იმითი აიხსნება, რომ აღმოსავლეთ ვალახიაში არ არის საკმარისი გზები უკან დასახევათ. ორად ორი რკინის გზა ვერ არის მარჯვე, რადგანაც ერთი მათგანი უახლოვდება ჩრდილოეთის საზღვარს, რომელზედაც მოპირდაპირის ჯარია გადმოსული, და მეორეც დუნაის ხაზს უახლოვდება; აქაც მტერი ახლოსაა და ყოველ წამს ხიფათია მოსალოდნელი.

ამის გამო რუმინეთის ჯარი იძულებულია შარა გზებით წავიდეს აღმოსავლეთისაკენ.

მგელი.

## ქართული პრესა.

შესაფერი შენობების უქონლობისა გამო ქართული თეატრის საქმე შეფერხდა.

ჩვენმა საზოგადოებამ და პრესამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია. გაიმართა ხელის მოწერა, რითაც 25 ათას მანეთამდე მოგროვდა. შესაფერ თეატრების შენობების აგებას კი რამდენიმე მილიონი მანეთი სჭირია. მართალია განსვენებულმა ცნობილმა ქველმოქმედმა ეკატერინე სარაჯიშვილისამ ფრიად საგრძნობელი თანხა დაუტოვა ანდერძით თბილისის და ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებებს თეატრების ასაშენებლათ, მაგრამ ჯერ სარაჯიშვილების ქონების განაღდება არ მომხდარა. ამასთან ნაანდერძევი თანხა არც საკმარისი იქნება. საქმის ვითარება კი დაყოვნებას ვერ ითმენს თუ გვინდა არ შეფერხდეს ჩვენი კულტურული განვითარება. ამიტომ ამ საქმის განსახორციელებლათ ფრიად ორიგინალურ საშვალებაზე მიგვითითებს გაზ. „საქართველო", იგი ამბობს.

საქართველოს დედა ქალაქებში, თბილისსა და ქუთაისში, **თეატრის შენობა არ მოგვეპოვება**. თბილისში ცეცხლმა იმსხვერპლა იგი ამ სამი წლის წინათ, ქუთაისში კი თეატრის ნაცვლად აგებულია რაღაც ბალაგანი. ასეთ პირობებში ვერ განვითარდება ქართული დრამატიული ხელოვნება, ვერ ისაზრდოვებენ ქართველი მსახიობნი, ვერ გაშლის ფრთებს ქართული ენა

ყოველისავე ამის დამამტკიცებელი საბუთია ის, რომ ჩვენი საზოგადოება გაურბის ქართულ წარმოდგენებს და ნაცვლად მიისწრაფვის გამხრწნელ სინემატოგრაფებსა და რუსულ თეატრებში, იქ სცლის თავის ჯიბეს, იქ ეჩვევა გადაგვარების მორევში, იქ იწამლება მისი სული... ამავე დროს კი ჩვენი მშიერ-მწყურვალე მსახიობნი შეეფარებიან ქართულ თეატრის ნანგრევებს, ვით ქვეყნისნი ძველ ციხე-დარბაზს, ან დაწრწიან სხვა და სხვა კუთხეში, ლუკმა პურის მაძიებელნი. ისინი წარმოადგენენ რაღაც ბოგანო არტისტებს.

ასეთ პირობებში, ეჭვი არაა, ეცემა ჩვენი დრამა, ფერხდება ენის განვითარება და ეროვნული შემეცნება, რითაც დიდი ზიანი ეძლევა ქართველი ერის კულტურას.

აი, რას უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება, როგორც ჩვენმა კულტურულმა ორგანოებმა და განსაკუთრებით დრამატიულმა საზოგადოებამ, ისე ჩვენმა სადეპუტატო საკრებულომ, პრესამ და ინტელიგენციამ!

ჩვენი დრამა, [illegible] ხელოვნება ვერ [illegible] გვექნა თბილისსა და ქუთაისში შესაფერი სათეატრო შენობანი, საკმაოთ ვრცელნი, ლამაზნი და მოხდენილნი. **ქართველმა ერმა უნდა შექმნას ისინი.** ამ ორი თეატრის აგებას კი დასჭირდება დღეს არა ნაკლებ 4 მილიონმანეთისა.

—საიდან ვიშოვოთ ეს ამოდენი ფული?

ქართველი ერი, საბედნიეროთ, გამოვიდა უკვე მცონარობას ბნელი ბურუსიდან, შესდგა ფეხი თვითმოქმედების და დოვლათის შეძენის ნათელ სფეროში. დღეს ქართველი ერის სულში ყალიბდება ეროვნული შემეცნება. იგი გამოდის თან და თან სხვადასხვა იზმების ჯანყიდან, დგება რეალურ ნიადაგზე. მიუხედავათ სულის შემხუთველი კრიზისა და დამღუპველი რეჟიმისა, იგი განიცდის შესამჩნევ წინსვლას როგორც ნივთიერს ისე სულიერ სფეროში. ქართველი ერი იზრდება რიცხვით, ქონებით და კულტურულათ. მაშ მას უსათუოდ ესჭირდება **განვითარებული თეატრი, შესაფერი სათეატრო შენობანი.** ამათ შესაქმნელად კი ქართველ ერს აქვს საკმაო შეძლება და საშუალება, განსაკუთრებით ახლა ამ უმაგალითო მსოფლიო ომის დროს.

ეს სამი წელიწადია, სისხლის ღვართქაფთან ერთად რუსეთის იმპერიის სამხრეთ დასავლეთით სთოვს მილიარდებს აქედან რამდენიმე ათეული მილიონი შეეძინა ჩვენს ხალხს. დღეს ფული გაიაფდა ყველგან და მხოლოდ დღეს არის შესაძლებელი შევკრიბოთ ჩვენში და რუსეთში საჭირო თანხა ორი დიდ თეატრის ასაგებად. სწორეთ ამ მსოფლიო ომის დროს, ამ ნაღმყუმბარების გრგვინვისა და ზარბაზანთა ბლავილის საშინელ ხანაში უნდა მოხდეს ფულის შეკრება, როგორც მთელს საქართველოში ისე რუსეთშიაც თბილისსა და ქუთაისში ეროვნულ თეატრის ასაგებათ. იშვიათად ვიპოვით უკეთეს მომენტს! მხოლოდ ახლა შეუძლია ყოველ ჩვენგანს გაიმეტოს აბაზის ნაცვლად ერთი მანეთი და მანეთის ნაცვლათ ერთი თუმანი. ფული გამრავლდა, გაიაფდა საარაკოთ და მასთან ერთად გაათკეცდა ქართველის სიუხვე და დარდიმანდობა.

— ნეტა რა სახით უნდა შეიკრიბოს ეს ოთხი თუ ხუთი მილიონი მანეთი? ამის შესახებ ფრიად საყურადღებო რეცეპტს იძლევა ბ. თეატრის მეგობარი გაზ. „საქართველოს" № 235-ში. ეს გახლავთ **იაფ ფასიანი ლოტარეა.**

იაფფასიანი ლოტარეა არ არის უცხო ხილი დასავლეთ ევროპაში. მას ხშირათ მიმართვენ ხოლმე როგორც მთავრობა, ისე საზოგადოებათა ორგანოები რაიმე დიდი საქმის გასაკეთებლად. თუ არ ვცდები, თვით ჩეხიაში უზარმაზარი ეროვნული თეატრი ააგეს ამგვარი საშუალებით. მაშ ჩვენშიაც შესაძლო მივმართოთ ამ ლოტარეას, ხოლო საჭიროა მთავრობის ნებართვა ამ ნებართვის აღება კი და საქმის მოწყობა უნდა იკისრონ ერთათ თბილის ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ, კულტურულმა კავშირმა და მარშლებმა ამის შესახებ უნდა გაიმართოს ეხლავე კრებანი და სერიოზული თათბირი. ჩვენის აზრით. ლატარიის ბილეთი უნდა ღირდეს თითო თუმანი და ბილეთს უნდა ჰქონდეს ათი თითომანათიანი კუპიერი, რომ ფართო მასას შეეძლოს შეიძინოს თითო კუპიერი მაინც მით შეიტანოს თავის წვლილი მელპომენას საერო ტაძრის აგებაში და მიიღოს მონაწილეობა ბილეთიანი მოგებაში ადამიანის ბუნება ასეთია: მას ხიბლავს ყოველგვარი მოგება, ყოველგვარი ლოტარია; იგი ამაში სცდის თავის ბედს. ეს ერთგვარი სპორტია. ამიტომ ლატარეას მუდამ მრავალი მუშტარი ჰყავს, მეტადრე თუ მოგების შანსი დიდია და ჩვენც უნ და ვეცადოთ ამას.

უნდა გამოიცეს 5 მილიონი მანეთის ბილეთები, რიცხვით 500,000 მან. მოსაგებათ უნდა გადიდოს ნახევარი მილიონი მანეთს ამ მოგებას უნდა მისცეს დემოკრატიული ხასიათი, ე. ი. არ უნდა იყოს შიგ დიდი მოგებანი, ნაცვლათ უნდა მოეწყოს რაც შეიძლება ბევრი წვრილი მოგებანი, რომ ყოველი 50 ბილეთის ერთი

მოგება მაინც შეხვდეს. ამრიგათ საერთო რიცხვში უნდა იგებდეს დაახლოებით 10,000 ბილეთი შემდეგი სახით:

1—25.000 მან.—25,000 მ.
5—10,000 მ.—50.000 მ.
10—5.000 მ—50.000 მ.
45—1.00 მ—45 000 მ.
100— 500 მ—50.000 მ.
1000— 100 მ.—100.000 მ.
2200— 50 მ.—110.000 მ.
7.000— 10 მ.—70 000 მ.

სულ 10 361 ბილეთი—500 000 მან.

ჩვენ აქ აღვნიშნეთ მხოლოდ სხემა, ჩონჩხი, დეტალური შემუშავება და ამა თუ იმ ცვლილების მოხდენა კი კომისიის საქმეა

# ახალი ამბავი.

ომში დაუძლურებულთა სასარგებლოდ დღეს ქალაქის თეატრში ადგ. დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქანტურიშვილის 3 მოქ. დრამა „მორევში“.

✦ ხვალ ქალაქის თეატრში ადგ. დრ. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება „ნაპოლეონ და ჟოზეფინა“, 4 მოქ. თარგმანი ალ. იმედაშვილისა.

✦ დაბა ზუგდიდის მაზრის უფროსი ბ. გამყრელიძე დანიშნულ იქნა ქ. ბაქოს პოლიცმეისტერის თანაშემწეთ.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავრობის უფროსი ატყობინებს ყველა სადგურთა უფროსებს, რათა დაუყონებლივ შეადგინონ იმ მოსამსახურეთა სია, რომელნიც დაბადებულნი არიან 1893 წ. და ჯარში გაწვევა უწევთ 1917 წლის დასაწყისში.

✦ ქალაქის საშუალო კომისიის 18 ნოემბრის სხდომაზე დაადგინეს: მგოსან ნიკოლოზ ბარათვილის გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად მოწყობილ იქნას ქალაქის პირველ დაწყ. ყველა სასწავლებლებში სალიტერატურო დილა. ხსენებულ დილის მოწყობა ევალება სასწავლებელთა მმართველებს, დილა უნდა მოეწყოს არა უგვიანეს პირველი დეკემბრისა.

✦ ამავე კომისიის კრებაზე გადაწყდა ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რათა 1917 წლისათვის გახსნილ იქნას მეხუთე უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი ქალაქის წყალ-გაღმა უბანში...

✦ დ. ჩოხატაურიდან გვატყობინებენ, რომ ამ ჟამათ იქ ფუთი გამხმარი აბრეშუმის პარკი 200 მანეთად იყიდება, თუთუნი 60 მან., ხოლო თხილი 10 მან.

✦ მოსკოვის სახალხო ბანკის ინსტრუქტორს კ. კანდელაკს ცნობა მიუღია რომ ივნლისიდან გამოგზავნილი შაბიაბანი უკვე შემოსულა არხანგელსკში, შაბიაბანი ყოფილა 4500 ტონი, ნაწილი შაბიამანისა გამოიგზავნება თბილისში, საჭიროებისათვის.

✦ ჯარში გასაწვევ პირთა შეღავათის მიმცემი მთავარი კომიტეტი აცნობებს სამაზრო კომიტეტთ, რომ ეხლავე შეუდგენ იმ თეთრ ბილეთიანთა შუამდგომლობის განხილვას, რომლებთაც კენჭი ამოღებული აქვთ 1903—1909 წლებში.

✦ გუშინ ახლო მახლო სოფლებიდან აბრეშუმის ძაფი შედარებით ცოტა შემოიტანეს გასასყიდად. პირველი ხარისხის იყიდებოდა კვერცხი ($1/_8$ გირ.) 1 მ. და 30 კ. მეორესი 90 კ.-დან 1 მ-დე.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში ხილი ფასობს: ბროწეული ფუთი 1 მ. 60 კ.-დან. 2 მ.-დე. მსხალი ფუთი 3 მ.-დან 4 მ. დე ვაშლი 3 მ. 50 კ.-დან 4 მ.—დე.

✦ გუშინ სოფელ ტყაჩირიდან (ქუთ. მაზრა) აქ ჩამოიყვანეს ჯარის-კაცი ნოე ჩხობაძე, რომელიც დაავათმყოფებული აღმოჩნდა შავი ჭირით: ავათმყოფი დაუყონებლივ გაგზავნილ იქნა ქალაქის გადამდებ სენიანთა ბარაკში.

✦ პურის ნაკლებობას კვლავ არ მოეღო ბოლო ქუთაისში ფქვილის უქონობის გამო ბევრმა მეპურემ დაჰკეტა პურის საცხობი, ბევრიც სიმინდის ფქვილის ცხობას შეუდგა, გირვანქა ჰადს 8 კაპ. ჰყიდიან.

✦ ქალაქის სასანიტარო კომისიამ სასანიტარო წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა: დარისპან ჯანელიძეს, ყობო ფიჩხაძეს, მაქსიმე ახვლედიანს და ივანე ესაძეს.

✦ 21 ნოემბერს ქ. ქართულ გიმნაზიის დარბაზში გაიმართა ლიტერატურული საღამო ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავათ. ლამაზი სიტყვა წარმოსტქვა VIII კლ. მოწაფემ დონდუამ. საკმაოდ შინაარსიანი რეფერატი წაიკითხა ამავე კლასის მოწაფემ ნ. დგებუაძემ ბარათაშვილის პოეზიაზე უკრავდა გიმნაზიის მუსიკა და მღეროდა მოწაფეთა ხორო. სტუმრები საკმაოთ დაესწრო და ახალგაზდობის ახალგაზდური ნააზრევით კმაყოფილნი ღამის 1 საათზე დაიშალენ.

სხვათა შორის უნდა შევნიშნოთ, რომ გიმნაზიას სასცენო დარბაზი არ აქვს, სადაც შესაძლებელია ასეთი საღამოების გამართვა. კარიდორი კი, სადაც საღამოებს მართავენ მოწაფეები, ერთობ უხერხული ალაგია მსმენელთათვის.

✦ დღეს შაბათს, 26 ნოემბერს, ძლევამოსილ წმ. გიორგის სახელობაზე, ამავე წმინდანის კავალერიის სასარგებლოთ და გმიროების აღსანიშნავათ განზრახულია მთელს იმპერიაში ზეიმი. გაიმართება აგრეთვე ყულაბებით ფულის მოგროვება წმ. გიორგის ფონდის გასაძლიერებლად.

## კავკასიის ქრონიკა.

**თბილისი.** 22 ნოემბერს მეფის მოადგილის სასახლეში მის უმაღლესობის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით მეფის მოადგილის საბჭოს კრებები დაიწყო ამიერ კავკასიის საერობო კანონპროექტის შესამუშავებლად. კრებებზე მოწვეულია თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღვლი თავადი დ. ე. ჩოლოყაშვილი და თფილისის ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი.

— **თელავი.** ილიას კოშკის (სადაც პოეტი დაიბადა) ყვარელში საფუძვლიანად შეკეთება უკვე დასრულდა და ამ დღეებში წ. კ. საზ. თელავის განყოფილების გამგეობა დაათვალიერებს. შეკეთება დაჯდა 900 მანეთი.

— **ოზურგეთი.** გურიაში დღეს გამხმარი აბრეშუმის პარკი ფასობს 200 მანეთი, თუთუნი 60 მანეთი, თხილი 10 მანეთი.

— **ახალი-სენაკიდან.** გვწერენ: 22 ნოემბერს ჩვენი მგოსნის ნ. ბარათაშვილის ასი წლის დაბადების დღე ვიდღესასწაულეთ. იუბილეიში მონაწილეობა მიიღო ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ჩვენმა ბელეტრისტმა ია ეკალაძემ. ხალხი ბევრი დაესწრო.

— **გორში.** 13 ნოემბერს თვითმართველობის დარბაზში კრება მოხდა, რომელმაც აშკარად დაგვანახა რომ ხალხი სულით და გულით იყო მომზადებული მეურნეობაში წინ სვლისთვის, კრებამ გადაწყვიტა გორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან „კომერციული განყოფილება“ დააარსოს.

— **ჩოხატაური.** აქ რაღაც უცნაური ავათმყოფობა გაჩენილა. როგორც ავად გახდება მაშინვე წუთი-სოფელს ესალმება კაცი. ხალხი საგონებელშია ჩავარდნილი. ზოგს ხოლერა ჰგონია, ზოგს კი შავი ჭირი. საჭიროა, თუ ეს სინამდვილეა, დაუყონებლივ მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

## ბრძოლის ველზე.

ჯერ ისევ ღამის სიბნელეში იყო გახვეული არე-მარე, მაგრამ ჯარი კი უკვე ფეხზედ იდგა. განთიადზე ბრძოლა უნდა დაწყებულიყო.

აი, გაისმა საყვირის ხმაც... ჯარი ეწყობრად სდგას. გაისმა თოფ-ზარბაზნების გრიალი მტრის ბანაკიდან, რომელსაც გრიალითვე უპასუხა მეორე მხარემ და დაიწყო ბრძოლა, საშინელი საზარელი...

გულ განგმირული მებრძოლნი ერთიერთმანეთზე ეყრება ძირს...

სიკვდილის სამეფოს საზღვრები თანდათან ფართოვდება...

კარგა ხანმა განვლო მის შემდეგ, რაც მნათობი თავის სავანეში ჩაესვენა. შესწყდა ბრძოლა, მიყუჩდა თოფ-ზარბაზნების გრიალი.

აგერ მოვიდენ მოწყალების ძმებიც და დაიწყეს საფლავების თხრა და მებრძოლთ გვამების დამარხვა...

აღსრულდა დაუნდობელ სოფელზე თქმული სიტყვები:

ვაჰ სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
„სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი, სადით ძირსა“

გათავდა, კაცი, სიკვდილმა საუკუნოდ დაუშვა ფარდა..

კონ. წეგელი.

## ნ. ბარათაშვილს.

შექმნი წალკოტს სწორუპოვარს, შიგ ვაჩქერებ ბრძოლის წყაროს,
რომ შენს მშობელ საქართველოს გარს უვლიდეს ესაზღვაროს.
მზემ უძლევი თვისი სახე მის სივრცეში დაინახოს,
და აჩრდილი უკვდავ სულის შენი მასში ჩაისახოს.
იქ ამართულ მაღალ ქედზე ყვავ-ყორანი ვერ ფრინავდეს,
ამირანის დაფლეთილ გულს ვერ ჰკორტნიდეს, ვერ სთელავდეს,
მზე, მთოვარე, ვარსკვლავთ გუნდი თვის პირველ სხივს იქ აფრქვევდეს
ამ მოვლენით შენი კუთხე სულ ხარობდეს, სულ ჰყვაოდეს.
მაშინ შენი სულის ლტოლვა სამუდამოთ დამშვიდდება,
და მერანი ბედის საზღვარს ფრენით აღარ გასცილდება
შენ, მნათობო განთიადის! ცოტა ხანით მოხველ სოფლად.
მაგრამ ნაშთი გენიისა, დარჩა ლამპრად გაუქრობლად.

პასიკო.

*
* *

ნელ—ნელ ილევა სიცოცხლე დღენი,
ვუახლოვდები სამარის კარსა;
ხომ მიწა იყო ჩემი გამჩენი,
ისვე მიმიღებს თვის მეგობარსა!..
მაგრამ ვიდრე ვჭვრეტ მზიანსა დღესა,
მინდა მეც ვიყო სულით მზიანი;
მინდა მიყვარდეს ტურფა ბუნება,
პირ—ბადი, სახე—ალმასიანი!..

——

როს შემოდგომა გაშლის შავსა ფრთებს,
ხიდან ფოთლები ჩამოცვივდება;
ზამთრის სუდარა დაჰფარავს მდელოს,
ტყე ვაიცრცვნება, წამოცივდება,—
მე მინდა მაშინ ზღვის ტალღათ ვიქცე,
ზვირთი—ზვირთს გაჰყვეს გამალებული;
მოკვდეს ზამთარი... დავკლა გაზაფხულს
შევხვდე სულითა განახლებული!.

——

მინდა ხან სევდა შემომესიოს,
ხანცა მეუფლოს ლხენა, გართობა;
ხან ვაქო ზენა ქვეყნის შემქნისთვის,
ხან ვსწყევლო სოფლის უკულმართობა.
და ასე ნელ—ნელ დავუახლოვდე
ჩემ სამყოფლობელოს,—სამარის კარსა..
ხომ მიწა იყო ჩემი გამჩენი,
ისვე მიმიღებს თვის მეგობარსა!..

ბეგლარ ახოსპირელი.

——

P. S. ჩვენს საზოგადოებაში გამეფებულია ერთგვარი შეხედულება, პერიოდულ გამოცემებაში თანამშრომლობის შესახებ ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენელნი ამბობენ, რომ ჩვენი მიმართულების მქონე, არ უნდა თანამშრომლობდეს სხვა მიმართულების ორგანოებით. ეს საკითხი მეტად რთულია და რადგანაც გვახსოვს **სათანადოთ** ამას არც არავინ შეეხება და არც გადაუწყვეტია.

ჩემის აზრით, ამა თუ იმ მიმართულების ადამიანი, არ უნდა იყოს შეზღუდული თავის პარტიის მიერ, ითანამშრომლოს სხვა მიმართულების ორგანოებში, **თუ იგი არავითარ შემთხვევაში პირადათ** არ იღაშქრებს თავის პარტიის წინააღმდეგ. ეს საზოგადოთ. რაც შეეხება მგოსნებს და ბელეტრისტებს, როგორი მიმართულებისაც უნდა იყვნენ, უმეტეს არ უნდა შეიზღუდონ ისინი ამ მხრივ. ლირიკული და ბელეტრისტული ნაწარმოები, თუ ისინი ზეგარდმო ნიჭის ნაყოფია, ყოველგვარ პარტიულობის გარეშე უნდა იდგნენ. ისინი ერთგვარათ უნდა ჰფენდენ სინათლის სხივს დაათბობდენ ყოველი ადამიანის გულს ამიტომ პოეტურ ნაწარმოებს, თუ იგი დაბეჭდვის ღირსია და არის ამის საშუალებაც სხვა დაბრკოლება აღარ უნდა ედობებოდეს წინ გისაც თავისი მიმართულება და მსოფლმხედველობა მტკიცეთა სწამს და საფუძვლიანათ აქვს შეგნებული, ის ყველგან იგივე დარჩება, რაც არის *).

ბეგლარ ახოსპირელი

*) პოეტ—ბელეტრისტის დანიშნულებაა აღზარდოს მკითხველებში წრფელი გრძნობა და სიყვარული ჭეშმარიტებისადმი. ამიტომ ჭეშმარიტება კი ერთად ერთია: **ხალხი და მისი ბედნიერი დღეობა.** ჩვენ სიამოვნებით მივეგებოთ ყველა მიმართულების ქართველ მგოსან—ბელეტრისტს, რომელიც ამ ჭეშმარიტებას ემსახურება.

რედ.

## პატარა წერილები.

### VII

რკინას ჟანგი ჭამს და კაცის გულს დარდიო, ასე ამბობენ ხოლმე ჩვენში. მართალიც არის. კაცის გულის მჭამელი დარდი ორგვარია. ერთი კერძო და მეორე საზოგადო. კერძო დარდი რომ არ ჰქონდეს იმისთანა პირი ძვირად მოიძებნება ჩვენში, მაგრამ საზოგადო საქმისათვის დარდის მქონე პირებს კი ძრიელ იშვიათად ვხედავთ. ჩვენი საქმეები დიდათ უფრო კარგათ წავიდოდა, რომ ამისთანა პირები ბლომად გვყავდეს ჩვენს კუთხეულ ქვეყანაში. ავიღოთ თუ გინდათ ჩვენი ჟურნალ გაზეთების საქმე. ვინ არ იცის რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ საზოგადო საქმის რიგიანად დაყენებას ჩვენში, მაგრამ ამისათვის თავს არავინ არ ატკივებს. ვითომც აქ არაფერიაო, ისე უყურებს ქართველი საზოგადოება, როდესაც ჩვენი ყოველ დღიური გაზეთები სულს ღაფავენ და კანტორის გამგეებს დარჩენილი გაზეთები სასწორზე მიაქვსთ სახვევ ქაღალდათ გასასყიდლად რამდენ უბრალო საქმეებზე ხარჯავს ჩვენი თავად აზნაურობა და ინტელიგენცია ფულს და ქართული გაზეთის გამოწერისათვის კი ფულის გაღება ენანება. ეს თუ ასე არ არის აბა რომელი გაზეთია ჩვენში, რომ მისი შემოსავალი გასავალს ფარავდეს? ნუ თუ ორ მილიონ ქართველობაში, რომ ჩვენში შეგნება და საზოგადო საქმისადმი დარდი იყოს, იმდენი ხელის მომწერი ვერ უნდა იშოვოს ქართულმა გაზეთმა რომ არსებობა შესძლოს?.

ამისთანა პირი კი, ხომ ჯერეთ ჩვენში სრულიად არავინ არ გამოჩენილა, რომ თავის მონაგებიდან რაიმე რომელიმე ქართული გაზეთის მუდმივი არსებობისათვის და უზრუნველ საყოფელად ეანდერძებიოს. ამ ნიადაგზე ერთად ერთმა ნეტარხსენებულმა იაკობ-გოგებაშვილმა ისახელა თავი, რომელმაც რამოდენიმე ათასი მანეთის ობლიგაციები დაუტევა ჟურნალ „განათლებას“.

ფრიად საჭიროა, ქართველი საზოგადოება გაიმსჭვალოს საზოგადო საქმეების ფიქრითა და დარდითა და ამას ისე არ უყურებდეს როგორც „სხვისი ჭირი ღობის ჩხირიო“.

მ. ბუაჩიძე.

## ნიკ. ბარათაშვილის პოეზია

ნ. ბარათაშვილმა 15 წლისამ დაიწყო წერა. პირველად იგი იყო ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის და სხვათა ეროტიულ ლექსების გავლენის ქვეშ. იმანაც თავისი პოეტური ზეშთაგონების საგნათ აირჩია ვარდი და ბულბული, ბუნების სილიადე და სილამაზე, ქალი და სიყვარული. მაგრამ მისი პირველი ხანის ლირიკულ ნაწარმოებშიაც კი, გამოსჭვივის თავისებური კილო და მოტივები.

ქალის სიყვარულს ნ. [illegible] ჰგულისხმობს ეროტიული [illegible] იარაღად. მის საკვირველ [illegible] მშვენიერ ლექსებში, ჩვენ ვხედავთ მისწრაფებას განხორციელებულ სილამაზისა და ზნეობრივი სიწმინდისადმი, ურომლისოთაც შეუძლებელია ნათესაური კავშირი ჭეშმარიტად მოსიყვარულე ადამიანთა შორის.

ნ. ბარათაშვილის ლექსები გამსჭვალული არიან ელეგიური სევდით, რაიცა ღრმად მოქმედობს ადამიანზე. ასეთი მოტივები შთაბერა მის პოეზიას მისი სამშობლოს პოლიტიკურ სოციალურმა ვითარებამ და მისი პირადი ცხოვრების უკმაყოფილებამ, რაიცა განუყრელი თანამგზავრი იყო მისი სამარის კარამდე.

ახალგაზდა მგოსანზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა თანამემამულეთა აფორიაქებული ცხოვრება, რაიცა გამოიწვია უცხო ერის ბატონობამ.

ამავე დროს მისი მუზა მწარე ფიქრებით, თავს დასტრიალებდა საკაცობრიო ყოფნა არ ყოფნის საკითხებს.

გასული საუკუნის ორმოციან წლების ბოლო ხანებში მგოსან ნ. ბარათაშვილში მოხდა საგრძნობელი ცვლილება. მას ეტყობა სასოწარკვეთილების ნიშნები, რაიცა უახლოვდებოდა პესიმიზმს. ეს ემჩნევა მას შემდეგ, რაც მას დაერღვა „სულის მშვიდობა“ და მოუკვდა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, როგორც თითონ ამბობს ლექსში „სულო ბოროტო“ში.

ცხოვრების სინამდვილემ დაამსხვრია მგოსნის მიერ ოცნებით შექმნილი ქვეყანა, მისი რწმენა და იდეალი და მიიყვანა ის პესიმიზმსა და სასოწარკვეთილებამდე.

ამის შემდეგ მის მიერ დაწერილ ლექსებს ემჩნევა სასოწარკვეთილება და სევდა კაეშანი. ზოგიერთ მათგანში ისმის ისეთი კვნესა დაწყლულებული გულისა, ისეთი მედგარი გოდება, რომლის მსგავს ამაოთ მოსძებნით გასული საუკუნის მთელს ჩვენს ლიტერატურაში. ხანდახან ეს გოდება მრისხანე გამოძახილია მებრძოლისა, რომელიც მზათაა შეებრძოლოს თვით ბედისწერასაც კი.

მაგრამ ეს გოდება სულისა არ არის გოდება ლაჩარისა და უკუ ქცეულისა ცხოვრების წინაშე. მასში გამოსჭვივის მსოფლიო მწუხარება, რამაც მოიცვა მგოსნის სული.

ამასთან ეროვნული თვითცნობიერება ჩვენში როგორც ეს ესმის ჩვენი დროის შეგნებულ ქართველობას, იწყება ბარათაშვილით. მან დასწერა ისტორიული პოემა „ბედი ქართლისა“ და რამდენიმე ლექსი, რომელშიაც ნათლად გამოსჭვივის მისი შეხედულება ეროვნულ დამოუკიდებლობის შესახებ. „ბედი ქართლისა“-ში უმთავრეს გმირებათ მან გამოიყვანა მეფე ერეკლე მეორე და მისი კანცლერი სოლომონ ლეონიძე, რომლის პირითაც ღაღადებს საქართველოს უკეთეს შვილთა გულის თქმა.

საერთოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებში წითელი ზოლივით გატარებულია ღრმა სიყვარული სამშობლოსადმი, ზნეობრივი მოტივები და მსოფლიო მწუხარება.

ნ. ბარათაშვილმა ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი ქართული ლიტერატურის პანთეონში. მან აღაგო ხელთ უქმნელი ძეგლი მათ გულში, ვინც წაიკითხა და გაიგო მისი უკვდავი ლექსები.

ს. ჯ.

## საქალაქო დებულების რეფორმა.

14 ნოემბერს პეტროგრადში დ. ს. ს. ევტიფიევის თავმჯდომარეობით სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთა შორის საქალაქო თვითმართველობის რეფორმის შესახებ მეცხრე სხდომა მოხდა. ამ სხდომაზე ქალაქის საბჭოს მოწვევის და სხდომების შესახებ დადგენილება გაირჩა, გავიდა ის წესდება, რომელიც პროექტით უკვე იყო შემუშავებული და წინაგანსაზღვრული. ეს წესდება დიდად განსხვავდება აქამდი დაკანონებულ პირობებთაგან.

დღეს საბჭო წლიურად აყენებს სხდომების სიას, თუ როდის და რამდენი სხდომა უნდა მოხდეს. მხოლოდ წელიწადში დანიშნული უნდა იყოს არა ნაკლებ 4 ს

და არა უმეტეს 24 სხდომისა. ამის გარდა ყველა საგანგებო საბჭოს კრებას პეტროგრადში შინაგან საქმეთა მინისტრმა უნდა დართოს ნება და სხვა ქალაქებში გუბერნატორმა.

ახალი წესით საბჭო აყენებს კრების და სხდომების სიას, რიცხვის შეუზღუდავად ამ წესის გარეშე სხდომები მოწვეული იქნება ან ქალაქის თავის განკარგულებით, ან თვით საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოთხოვნილებით.

ამ გვარვე წესით იქნება მოწვეული საგანგებო კრებები, სხვათა შორის იმ დროსაც, როდესაც ხალხს რაიმე უბედურება დაატყდება თავზე, ან სამხედრო გარემოებათგან გამოწვეულ შემთხვევებში.

საბჭოს კვორუმს, პროექტის მიხედვით, უნდა შეადგენდეს ხმოსანთა რიცხვის ნახევარი, თუ ეს რიცხვი სამოცზე ნაკლებია. თუ რომ ხმოსანთა რიცხვი სამოცზე მეტია, იმ შემთხვევაში კვორუმს შეადგენს ხმოსანთა ერთი მესამედი.

## უწმინდესი სინოდი.

სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიაში ამას წინად გამოთქმული იყო სურვილი, რომ უწმინდესის სინოდის სესიის შევსებაში ძირითადი ცვლილება შეტანილიყო. ამისგამო რუსეთის სასულიერო კრების წინასწარმა თათბირმა ახალი წესდება შეიმუშავა სინოდის სესიის მოწვევისათვის.

ხსენებულმა თათბირმა დაადგინა: მთელი რუსეთი, ციბირი და საქართველოს საეკზარხო დაყოს რვა ოლქად და შეაყენოს სია მათში განწესებულ არქი ეპისკოპოსთა ამ სიაში ეპისკოპოსები შევლენ იმის დაგვარ, თუ ვის როდის მიუღია უმაღლესი კურთხევა. პირველი ალაგი ეპირებათ მათ, ვინც უფრო ადრეა კურთხეული.

ამგვარად თითოეულ სესიაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ოლქის სასულიერო წარმომადგენელნი. ამის თითეულ ეპისკოპოზს იმედი ექნება, რომ მას ერთხელ შეეძლება უწმიდეს სინოდის სესიაში მონაწილეობა მიიღოს.

ის წესი, რომელიც დღეს არსებობს— სინოდის სესია ივსება იმ პირთაგან, რომელსაც პირადად ობერ პროკურორი აირჩევს, სამუდამოდ გაუქმდება.

დ.

## ძველი ქართული გალობა და მისი ბედი.

1915 წელს მაისის უკანასკნელ რიცხვებში გაზეთ „სამშობლოს" № 94-ში მღვდელმა რაჟდენ ხუნდაძემ მოათავსა ფრიად საყურადღებო შეკითხვა ქართული გალობის შესახებ და ამცნობდა საზოგადოებას, რომ ეს ერთათ-ერთი განძი— მამა პაპათა გენიოსობის მიერ წარმონაშობი— ძველი ქართული გალობა საჭიროა, რომ გადაღებულ იქნეს ნოტებზე და რიგათ დაცულ იქნეს ჩვენს ეროვნულ მატიანეში; ეს მით უფრო საჭირო და საჩქაროა, რომ ამ საგნის ზედმიწევნით მცოდნე პირები დღეს ძალიან ცოტაღა თუ დაგვრჩენია და რომლებიც არიან იგინიც მოხუცნი და სამარის კარისკენ არიან გამზადებულნიო"... წერილის დასასრულს ავტორი დასძენდა: „მე ჩვეული ვარ იმაზე, რომ ჩემს მოწოდებას არ ვინ გამოეხმაურება, მაგრამ ისე თავისთვის გულში მაინც იტყვის: „არ უნდა დაიკარგოს, უნდა აღვადგინოთ, უნდა შევინახოთ,—მართლაც ჩვენი ერის შემოქმედებაა და უნდა გვქონდესო"... ეს აზრი წერილის ავტორისა მართლაც გამართლდა თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე არამკითხე რეცენზენტს, რომლებმაც ამ დიად შეკითხვას ამ რიგათ უპასუხებს: ძველი გალობა დრო მოჭმულია. მისი განხორციელება საჭირო აღარ არის, ჩვენ ვეცადოთ, რომ ჩვენი გალობა და სიტყვა-მუსიკობა „გაევროპიელდეს" ნაცვლად სამ-ხმოვანისა შემოღებულ იქმნას ოთხ-ხმოვანი გალობა, ხოლო ხუნდაძის გალობით (ნეტავი როდის იყო, რომ ხუნდაძემ თავისი გალობა უწოდა ძველ საგალობელს?!) და პრელ წირვაზე მოთქმით ჩვენ ფონს ვერ გავალთო და სხვა... ჩემის ფიქრით ამ გვარი შემთხვევები უნდა იყოს საბაბი რუსული ანდაზისა: „СЛИШИТЪ ЗВОНЪ И НЕ ЗНАЕТЪ ГДѢ ОНЪ".

ბ-ბო! მამა ხუნდაძეს თავიანთ შეკითხვაში ის კი არ დაუსახელებია, რომ ძველი გალობა ჩემია ან და მაინც ნოტებზე მისთვის გადავიღოთ, რომ მომავალმა თაობამ შეისწავლოსო, არამედ გვიკარნახებ და -„ძველი ნაშთი, ჩვენი წარსულის მიერ წარმონაშობი, თუ ჩვენ ეროვნული მისწრაფება და თავმოყვარეობა გვაქვს, ნუ დაიკარგება და შენახულ იქნეს არხივებში და, შესაძლოა მომავალმა თაობამ ოდესმე ან მოიწონოს და თუ არ მოიწონებს ამას მაინც იტყვიან, რომ ყოფილა დრო, რომ ჩვენ ხალხს ამგვარი მიმოხვრა ყვარებია გალობა-მუსიკობაშიო"...

მაგრამ საკვირველი და სამწუხარო ის არის, რომ ამ უთავო წერილების შემდეგ აგერ მეორე წელიწადი გადის და ამ საგნის შესახებ ხმას აღარავინ იღებს!..

ნუ თუ ამ ორი თუ სამი არა მკითხე რეცენზენტის სიტყვებს უნდა მიემხროს მთელი იმერეთ-გურია სამეგრელოს რჩეულ მამულიშვილთა აზრი!.. ნუ თუ მათმა ღალადისმა და შეუგნებელმა პასუხმა ამ ფრიად საჭირო საკითხზე იმდონათ უნდა გასჭრას რომ განქარდეს პირისაგან ჩვენის ქვეყნისა ის აუარებელი მრავალხმოვანი ხმების სხვადასხვაობა, უანგარიშო დასადებლების ხმები; სძილისპირების სტიხოგიების, იამბიკოების, იკოსების, კონდაკების და სხვა თვითხმოვანების ურიცხვი სხვადასხვაობა?!

მართლა და რომ ეს აზრი ასე გატარდეს და ეს განძი ჩვენი დაუდევრობით დავკარგოთ—ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ხელით დავვენგრიოს მამაპაპათა ნაშენნი და ულმობელი ჟამთა ვითარებისა გამო დღეს მწირათ მდგარნი „ნაშთნი ძველის დიდებისა", რომლებიც ნათლათ გვიხატავენ და მომავალშიდაც მოწმე იქნებიან იმისი, რომ ყოფილა დრო, როდესაც ჩვენც გვქონია საკუთარი სამშობლო, საკუთარი მართვა გამგეობა, ერთ სულოვნება, ერთ მორწმუნეობა, ერთი-ერთის ძმობა-სიყვარული, შეურყეველი აზროვნება და მტკიცე ერთობა—ეს არის ჩვენი ძველი ტაძრები და ციხე დარბაზები და რათ უნდა დავივიწყდეს, რომ იმ დიდებულ დროს ამ დიადი ტაძრების დამამშვენებელი იყო ჩვენი ძველი გალობა...

გაივლის მრავალი საუკუნე და ნაშთნი ტაძრებისა, თავიანთი ისტორიული მნიშვნელობით, კიდევ ბევრს იცოცხლებენ და არ დაიკარგება, მხოლოდ გალობა კი ისე გაქრება, რომ ისტორია მას ვერ მოიხსენებს, რადგან ის არ არის ზღაპარი ანუ შაირი, რომ ზეპირ სიტყვიობამ იგი არ ამოშალოს ხალხის გულისაგან, — იგია ერთ გვარი ცოდნა, რომელიც მხოლოდ შეუძლია შეითვისოს იმ პიროვნებამ, ვისაც აქვს მისი შეთვისების ნიჭი და უნარი და აგრეთვე ნდობა-მოწოდება მისი შეთვისებისა, და სამწუხაროთ ასეთი ნიჭით და მისი სიყვარულით აღსავსე პირები ძალიან ცოტა თუ მოიპოვებოდა წინა დროშიდაც და ახლა ხომ სულ სანთლის საძებარი შეიქნა. და ამასაც ვიტყვი, რომ დღეს მთელ საქართველოში ვეღარ ნახავთ ისეთ პირს, რომელსაც სურდეს შესწავლა ძველი ეგრედ წოდებული „კრიმანჭული" გალობისა,—მხოლოდ თუ კი ვინმე დარჩენილა მისი მცოდნე, ისინიც ძალზედ მოხუცნი და, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, სამარისაკენ არიან გამზადებულნი.. მათ, რომ გალობა დღეს სხვას გადასცენ და შეასწავლონ—ეს შეუძლებელია—მხოლოდ ზედ მიწევნით მცოდნე ნოტებისა შესძლებს მათი კარნახობით ნოტებზე გადაღებას და ამ რიგად და აქ ერთი საშუალებით დაცვას ამ ძველი უწმინდესი განძისას... ამ გვარი აზრი გამოსთქვა მღ. რ. ხუნდაძემ თავის შეკითხვაში 1915 წ. მაისში, მაგრამ ეს აზრი უკუღმა გადაატრიალეს ზოგიერთმა პირებმა და მას შემდეგ აგერ მეორე წელი-გადის და ყურსაც აღარავინ იბერტყავს.. ხოლო მღ. ხუნდაძემ თავისი შეკითხვა მით დაამთავრა, რომ ამის შემდეგ იგიც ამ საგნის შესახებ აღარაფერს იტყოდა და მართლაც სდუმს...

მასწავლებელი ალექსი ხარატიშვილი

(დასასრული იქნება.)

## პროვინციის ცხოვრება.

**ქვიშეთა** (გორის მაზრა) ოსეთიდან სწერენ „საქართველოს", რომ იქ მეტად გაძვირებულია ქელეხები. ზოგი ქელეხი 300 მანეთზე მეტ ხარჯს იძლევა. მაგალითად წარსული თვის 18-ს სოფელ „დამწვარში" ქვიშვაბიროვმა დიდი ქელეხი გადიხადა: დაჭკნა სამი სხვადასხვა სოფელი, რომელიც 200 მანეთზე ნაკლები არ ღირდა. 12 კოდი ალაოთი ლუდი მოამზადა; კოდი 15 მანეთის ანგარიშზე, სულ 270 მანეთის იყო; ხორბალი პურის გამოსაცხობად 11 კოდი სულ 150 მანეთი, ერთი სიტყვით ქელეხი სულ დაჯდა 620 მანეთი. ამ ქელეხს დიძალი ხალხი დაესწრო, მთელი ორი დღე სჭამეს და სვეს. თუმცა წორისუფლის შესაწირავი შევიდა, მაგრამ იგი ხარჯის მეათედს არ გაასწორებდა. აი ზოგიერთი უბრალოდ რა ხარჯავს ქელეხს, და სოფელს კი არც სკოლები, არც გზები, და ხიდები არ აქვს.

**ს. ჩოხატაური** სოფელი დიდ გაჭირვებაშია: შაქარი და ჩაი კარგი ხანია თვალით არ გვინახავს. ამბობენ ვაჭარს რ—შვილს აქვს შაქარი და სანდო პირებზე გირვანქას 80 კაპ. ყიდისო, მაგრამ ხალხს რა სარგებლობა ამ დღეებში კოოპერატივმა ერთი ვაგონი ფქვილი მიიღო. აქამდი დიდ შეწუხებას განვიცდიდით. გირვანქა სიმინდი, გამოუმცხვარი შავი პური 15 კაპ. იყიდებოდა. ამასთანავე მთელ სამაზრო საქონლის ჭირია მოდებული. ზამთარი მიდგომულია, მაგრამ მაინც ძლიერ დაზარალდა სოფელი.

პარკის ვაჭრები უკვე ჩამოვიდნენ. მათ ამხანაგობისთვის მიუმართავთ, რომელსაც 600 ფუთი გამხმარი პარკი ექნება. ვაჭრებს შეუძლიათ 150 მანეთი ფუთში, მაგრამ ამხანაგობას 200 მანეთ ნაკლებს არ მისცეს. თამბაქოს ვაჭრებიც გაფაციცებით ეძებენ საქონელს, ფუთში ორმოც მანეთამდი იძლევიან.

„ს. ფ."

**სოფ. ზომარეთი.** ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ოთხი, ხუთი დღე განუწყვეტლივ თოვდა. ფასებმა ეფექტურ სიმაღლეზე ძლიერ იმატა. ჩარჩები ძლიერ თარეშობენ. გირვანქა ნავთი 25—30 კ. ფასობს. შაქარი გირვანქა 120 კ. სოფელში დიდი ქურდობაა; დღე არ გავა რამე არ მოიპარონ. სოფელი თითქმის დაცარიელდა, ოჯახი ქალების ამარაა დარჩენილი. პურს ვერ ვშოულობთ, დიდი გაჭირვებაა.

**სოფ. უპროლისთავი** (ბათუმის ოლქი) სოფელში წყალზე ხიდი დანგრეულა და მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში არიან. ხალხი ორ გადებულ ჯოხზე გადიან. უფრო გაჭირვებაში კი მოსწავლე ბავშვები არიან. ზამთარში ჯოხებზე გამავალი ბავშვი, რომელიც სასწავლებელში მიდიოდა, გავლის დროს ფეხი დაუცდა და წყალში გადავარდა კინაღამ დაიხრჩო. საჭიროა ახლავე შეკეთდეს ხიდი, რომ ბავშვებს შიშლაში სიარული არ გაუჭირდეს.

**სოფ. დღნორისა.** (ლეჩხუმის მაზრა) ეს სოფელი იმყოფება ორმოცი ვერსის მანძილზე ქ. ქუთაისიდან. აქ არსებობს ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი, რომელზედაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ბ. სარდიონ ზაქადისძე ასათიანს, რომელმაც 1913 წ. შემოსწირა მეორე კომპლექტისათვის შენობას ღირებული 700 მანეთად. ეხლა კი მან და მისმა შვილმა ილიკომ სარდიონის ძემ შემოსწირეს სკოლის შენობის შესაკეთებლად 50 მანეთი, რის გამოც უღრმესი მადლობის ღირსნი არიან ორნივე მამა შვილი გულუხვი შეწირულებისათვის.

მასწავლებელი

## რუსეთი.

ჩრდილო დასავლეთ რუსეთში მთავრობის განკარგულებით საზოგადოებებს აღკრძალული აქვთ პოლონეთის მომავალზე რაიმე მსჯელობა იქონიონ.

— სინოდს თანხმობა გამოუთქვამს სათათბიროსთვის, რომ რუსეთის საეკლესიო საქმეებში რეფორმები იქნეს შემოღებული. ამნაირად სინოდს შესაძლებლად მიაჩნია განხორციელებულ იქნეს სამრევლო რეფორმისა და განქორწინების წესის ახალი პროექტი. ერთ რამეში არ ეთანხმება სინოდი სათათბიროს სინოდს შეუძლებლად მიაჩნია სინოდის წევრთა არჩევნების შემოღება. მისი სიტყვით ეს პროექტი სინოდის დაარსების წესსა და აზრს არსებითად ეწინააღმდეგება. სამაგიეროდ სინოდს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ყველა ეპარქიამ ჯერ-ჯერით თავის წარმომადგენელი იყოლიოს სინოდში. სინოდის წევრად ის ეპისკოპოსი იქნება მიწვეული, რომელსაც უფრო ადრე აქვს მიღებული ქირონტონია.

— ფრიად საინტერესო ამბავი დატრიალდა შეერთებულ ბანკის დირექტორსა და მანასევიჩ მანუილოვის გარშემო. ტატიშჩევმა განაცხადა: მანუილოვმა 25 ათასი მან. მთხოვა და სამაგიეროდ მას უნდა მოესპობინა ის საჩივარი, რომელიც ხსენებულ ბანკის წინააღმდეგ იყო აღძრული სპეკულიაციისათვის. თვით მანასევიჩ მანუილოვმა კი სხვანაირად ახსნა საქმის მდგომარეობა; მისი სიტყვით ტატიშჩევს მინისტრობა სდომებია ძალიან და რადგანაც მანასევიჩ-მანუილოვი ახლო იდგა შტიურმერთან, მას სთხოვა დახმარება. მანასევიჩმა სცადა და აღმოჩნდა, რომ ტატიშჩევის კანდიდატურის წინააღმდეგი იყო ყველა უმაღლეს წრეებში. ამის შემდეგ ტატიშჩევს მანასევიჩ-მანუილოვისთვის 25 ათასი მან. გადაუცია, საზღვარგარეთის პრესაში ტატიშჩევის საბანკო მოქმედების ქებისათვის.

— გრაფ ტატიშჩევს 15 ათასი მან. ქრთამათ აუღია. ცნობილ მეთამბაქოე მესაქსუდისაგან. მესაქსუდის პოგრომის მოწყობა ბრალდებოდა და ტატიშჩევის შემწეობით თავი გაინთავისუფლა.

— შტიურმერს მილიუკოვზე შეტანილ საჩივარში უთხოვნია, რომ მოიწვიონ აგრეთვე მანასევიჩ მანუილოვი, რომელსაც შტიურმერის სიტყვით, არ უთქვამს, ვითომ მას აღებულ ქრთამის ნახევარი ყოფილ პრემიერისათვის მიეცეს.

— 21 ნოემბერს მოულოდნელად პროტოპოპოვი ტელეფონით მეფის ბანაკში გაუწვევიათ. ხმებია, იქიდან შინაგან საქმეთა მინისტრი უპორტფელოდ დაბრუნდებაო. მის მოადგილედ იუსტიციის მინისტრის ამხანაგს ვერევკინს ასახელებენ. ა. ფ. ტრეპოვს უნახავს ვერევკინი და მოლაპარაკება ჰქონია.

— მემარჯვენეთა ფრაქციიდან გამოსვლის შესახებ პურიშკევიჩს შემდეგი უთქვამს გაზეთის თანამშრომლებისათვის:

— ამ რამდენიმე ხნის წინად გლეხმა დეპუტატებმა და მღვდლებმა მთხოვეს სათათბიროს ტრიბუნიდან სრული სიმართლე მეთქვა სახელმწიფოს ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. მემარჯვენეები დამპირდნენ თავის ორატორად გამოშვებას, მაგრამ სულ უკანასკნელ წუთებში უარი მითხრეს. მე მარკოვზე და ლევაშოვზე უფრო მემარჯვენე ვარ, მაგრამ მე ეხლა დუმილი არ შემიძლია, ამის ნების სინიდისი არ მაძლევს. მარკოვისა და ლევაშოვის მოქმედება არამც თუ სათათბიროს მემარჯვენე ფრაქციას, არამედ მთელი რუსეთის მემარჯვენეებს არცხვენენ და სახელს უტეხავენ.

## უცხოეთი.

ვენიზელოსის თანაგრძნობით ამერიკაში მოხალისეთა რაზმი შეუდგენიათ და მოკლე ხანში საბერძნეთისაკენ გაამგზავრებენ. მოხალისეთა რიცხვი უკვე 50 ათასამდე ასულა.

— ინგლისში უელსის ქვანახშირის მაღაროებში რამდენიმე ხნის წინად ეკონომიურ ნიადაგზე მუშებს გაფიცვა მოუხდენიათ. ისინი 15 პროცენტით ჯამაგირის მომატებას ითხოვდნენ. მაღაროს პატრონები კი მხოლოდ 10 პროცენტზე ჰთანხმდებოდნენ. რადგანაც ხსენებული მაღაროებს ომისათვის [illegible] მნიშვნელობა აქვს, მთავრობამ [illegible] პატრონებს ჩამოართვა. დღეიდან უელსის 595 მაღარო მთავრობის გამგებლობაში იქნება. მუშების მოთხოვნილება უკვე დაუკმაყოფილებიათ.

— საყოველთაო შრომის ბეგრის შემოღების შემდეგ გერმანიის მთავრობას დაუმზადებია პროექტი მოძრაობისა და განათების შესახებ. ჯერ შემცირებული იქნება ტრამვაის მოძრაობა ქალაქებში, შემდეგ სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა; მცხოვრებლებს მოუწოდებენ, რაც შეიძლება ადრე დაიძინონ ხოლმე. მაღაზიები და სავაჭროები ყველა 7 საათზე უნდა იხურებოდეს, ხოლო კაფე-შანტანები და თეატრები საღამოს 10 საათზე. ეს ზომა გამოწვეულია იმით, რომ გერმანიაში ერთობ შემცირდა ქვანახშირი და ნავთი.

— ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ, ჩვენი მინისტრები მოიქანცნენ; საჭიროა ისინი თანამდებობისაგან გავანთავისუფლოთ და მათ ალაგას ახალგაზრდები მოვიწვიოთო. გაზეთების სიტყვით მოქანცულობა განსაკუთრებით ატყვიათ ასკვიტს, გრეისა და ბალფურს.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |

## უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

**ბრანული ექ. გლეზისა.**

**ბრანული ექ. გლეზისა** მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **ბრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ–სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **ბრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **ბრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

**ბრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შაშერზაშვლს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ვრთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყალ დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.